Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#4, თებერვალი, 2018

# პოლიტიკური პროცესებისა და სატელევიზიო მედიის ურთიერთკავშირი საქართველოში 2001-2012 წლებში

## (საერთაშორისო ორგანიზაციების ყოველწლიური ანგარიშებისა და ადგილობრივი კვლევების ანალიზებზე დაყრდნობით)

თამთა ჩხაიძე

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: taamtach@gmail.com

# აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება პოლიტიკური პროცესებისა და სატელევიზიო მედიის ურთიერთკავშირს საქართველოში 2001 წლიდან 2013 წლამდე. არაერთი კვლევის მიხედვით, ტელევიზია წარმოადგენს ინფორმაციის მთავარ წყაროს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის. შესაბამისად, ტელემედიას აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც შემდეგ პოლიტიკურ პროცესებზე აისახება.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია აჩვენოს საქართველოში ტელემედიის ფუნქციონირებისა და თავისუფლების დამოკიდებულება პოლიტიკურ პროცესებზე. ჩემი ამოცანაა წარმოვადგინო და გავაანალიზო საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები ქართული სატელევიზიო მედიის შესახებ, ვაჩვენო მედიის როლი ქართულ პოლიტიკაში და სხვადასხვა ხელისუფლების დამოკიდებულება ტელემედიის მიმართ. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს კვლევის ძირითად საგანსა და ობიექტს.

ნაშრომის სიახლე ისაა, რომ თუ წლების განმავლობაში პოლიტიკური პროცესები განსაზღვრავდა სატელევიზიო მედიის ფუნქციონირებას, ეს პროცესი დროთა განმავლობაში ურთიერთშექცევადი გახდა.

**საკვანძო სიტყვები:** ხელისუფლების ცვლილება, სატელევიზიო მედია, მედიის თავისუფლება, მედიასამართალი, პოლიტიკური გარემო

## შესავალი

მედია მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის გავლენას ახდენს პოლიტიკურ დღის წესრიგზე, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაზე. სამაუწყებლო მედია ხშირად დიდ როლს ასრულებს მასების მობილიზაციის პროცესშიც.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში მედიის როლი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად შეუძლია მას ჩასწვდეს და გააანალიზოს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, უზრუნველყოს სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის გამჭირვალობა და ამით კარგი მმართველობის გარანტი გახდეს (სალდაძე, 2009).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო დემოკრატიის მშენებლობას შეუდგა. ამ პროცესში საყურადღებო იყო მედიის როლი, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტრანსფორმაციას განიცდიდა და მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამაუწყებლო მედია, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა ახალ ამბებს, ძირითადად, ტელევიზიის საშუალებით ეცნობა. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ, 2009 და 2011 წლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში, მედიასაშუალებებს შორის, საზოგადოებაზე ყველაზე დიდ გავლენას ტელევიზია ახდენს. 2011 წელს, საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ეროვნული ტელეარხებით ყოველდღიურად მოსახლეობის 82% იღებდა (მსხილაძე, 2012). მონაცემები თითქმის იდენტურია სხვა წლებშიც.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე აშკარად ჩანს კავშირი პოლიტიკურ პროცესებსა და სატელევიზიო მედიას შორის, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სხვადასხვა ხელისუფლებას სხვადასხვა ფორმით, თუმცა ყოველთვის ჰქონდა სატელევიზიო მედიაზე კონტროლის მოპოვების მცდელობა, რაც განსხვავებული შედეგებით სრულდებოდა.

**საკვლევი კითხვა**

კვლევას რამდენიმე საკვლევი კითხვა აქვს. ნაშრომის მიზანია გაარკვიოს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხელისუფლების ცვლასთან ერთად როგორ იცვლებოდა გავლენები სატელევიზიო მედიაზე, რა ფორმით და რამდენად აშკარად ცდილობდა ხელისუფლება ტელემდიის დამორჩილებას, რა კავშირი არსებობს

ხელისუფლების ცვლილებასა და მედიის თავისუფლებას შორის. ძირითადი საკვლევი კითხვა კი არის, უფრო მეტად იზღუდება თუ არა ტელემედიის თავისუფლება, როცა ხელისუფლებასა და კონკრეტულ მედიასაშუალებებს შორის კავშირი იზრდება.

**კვლევის მეთოდოლოგია** - კვლევის არაექსპერიმენტული დიზაინი ეფუძნება:

- მეორადი წყაროების ანალიზს: ნაშრომში განხილულია საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, კვლევები, სტატიები, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ქართულ ტელემედიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ მონაცემების ინტერპრეტაცია. აღნიშნული ანგარიშები და კვლევები ძრითადად ელექტრონულ მასალებს ეყრდნობა.
- საკანონმდებლო ბაზის ანალიზს: საქართველოს კონსტიტუცია, 1991 წლის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, 2004 წლის კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ და კანონი მაუწყებლობის შესახებ.
- თვისებრივი კვლევის მეთოდს: კვლევის მეორე ძირითადი ეტაპია ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან, რომლებიც წლების განმავლობაში იკვლევენ საქართველოში მედიის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებას იძლევა მედიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირზე უშუალოდ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებმა იმსჯელონ და გამოკვეთონ ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აწყდება ქართული ტელემედია. ინტერვიუები ჩაწერილია ,,საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს“ მედიაპროგრამების მენეჯერ მამუკა ანდღულაძესთან და მედიამკვლევარ მარინა ლომიძესთან.

კვლევის ანალიზს წარმოადგენს 2001 წლიდან 2013 წლამდე ქართული ტელემედიის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები.

ნაშრომში გამოყენებულია ,,ფრეიმის თეორია", რომელიც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს საკვლევი საკითხი. ფრეიმინგი მედიაზემოქმედების მეცნიერული შესწავლის პოპულარული მიმართულებაა. ფრაიმინგ-ეფექტი ხდება მაშინ, როცა მასობრივი ინფორმაცია აუდიტორიის წევრთა შემეცნებაში ააქტიურებს წარსულში ათვისებულ ცნებებს, შეძენილ ცოდნას ან აზრებს, რომელთაც კავშირი აქვს ახალი ინფორმაციის შინაარსთან. მას შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ქცევა (რუე & ვეკუა, 2013). „ფრეიმებს" ძლიერი ზეგავლენა აქვთ მოქალაქეთა აზრებზე, პოლიტიკისა და მსგავსი საკითხების შესახებ. პოლიტიკურ ელიტებს შეუძლიათ „ფრეიმების" ეფექტურად გამოყენება მათი პოლიტიკური მიზნების რეკლამირებისათვის.

ფრეიმის თეორია საშუალებას იძლევა დადგინდეს პოლიტიკის ზეგავლენის ფაქტორები სატელევიზიო მედიაზე. ამ თეორიის მიხედვით, მედია და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთის ცვლილება განაპირობებს მეორის ცვლილებას. ნაშრომის მიზანია კონკრეტულ თეორიაზე დაყრდნობით  განისაზღვროს ხელისუფლების ინტერესები და მათი ზეგავლენის ხარისხი სატელევიზიო მედიის ფუნქციონირებაზე, როგორ იცვლებოდა ,,ფრეიმები" და როგორ აღიბეჭდა ეს სატელევიზიო მედიაზე.

## ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი თემის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო  ორგანიზაციების Freedom House-ისა და IREX-ის ყოველწლიურ ანგარიშებს საქართველოს შესახებ. ანგარიშებში დეტალურადაა აღწერილი ქართული მედიის გარშემო მიმდინარე მოვლენები (Freedom House იკვლევს მსოფლიოს 199 ქვეყანას, IREX კი ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეს). ნაშრომში ასევე შესწავლილია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები და ანგარიშები. მათგან აღსანიშნავია ,,საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს" პუბლიკაციები და  კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის CRRC-ის მიერ 2009 და 2011 წლებში ჩატარებული საქართველოს მედიის სიღრმისეული კვლევა.

მედიისა და პოლიტიკის ურთიერთობებზე მედიის სფეროს კვლევით დაინტერესებული ბევრი მკვლევარი წერს. მიუხედავად იმისა, რომ თემაზე მრავალი ნაშრომი არსებობს, ერთ-ერთი პირველი თეორიები პრესის შესახებ ფრედერიკ ზიბერტმა, თეოდორ პეტერსონმა და უილბერ შრამმა ჩამოაყალიბეს, როდესაც 1956 წელს საბჭოთა კომუნისტური, ავტორიტარული, ლიბერტარიანული და სოციალური პასუხისმგებლობის თეორიები განსაზღვრეს (რეპკოვა, 2006). ეს თეორიები ,,პრესის ოთხი თეორიის" სახელითაა ცნობილი, თუმცა 1981 წელს, უილიამ ჰახტენმა ამ თეორიებს რევოლუციური და განვითარების მოდელები დაამატა, ლიბერტანული და სოციალური პასუხისმგებლობის კი დასავლურ მოდელში გააერთიანა (რეპკოვა, 2006). ზოგიერთი თეორია ერთმანეთს გადაფარავს, ზოგი კი პრინციპულად განსხვავდება, რადგან სხვადასხვა პოლიტიკურ კონტექსტზეა მორგებული, თუმცა რამდენიმე მათგანი შეიძლება განხილული იყოს საქართველოს მაგალითზეც.

ამ ორი კონცეფციისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ლიბერტარიანული კონცეფცია. ის გულისხმობს, რომ განათლებული საზოგადოება თავისუფალი ბაზრის პირობებში თავად აირჩევს მისთვის მისაღებ ინფორმაციას ბევრი ინფორმაციიდან. ამ მიდგომის მომხრეები ფიქრობენ, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს აბსოლუტურად ყველაფერი (რეპკოვა, 2006). ლიბერტარიანული კონცეფციის მსგავსად პლურალისტური თეორიაც ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს, თუმცა ბენეტისთვის ამ შემთხვევაში, მედია დამხმარე იარაღია მოქალაქეების დასაცავად და პლურალისტური მოსაზრებების გავრცელება გავლენას ახდენს ხელისუფლებაზე (Bennett, 1982).

სოციალური პასუხისმგებლობის თეორია, ხაზს უსვამს მედიის პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე, თუმცა არ განიხილავს ხელისუფლების როლს. ერთია, მედიის სურვილი და პასუხისმგებლობის გრძნობა, მეორე კი ის პოლიტიკური გარემო, რომელშიც უწევს პრაქტიკული საქმიანობა. ამ კონცეფციის მომხრეები თვლიან, რომ ჟურნალისტებმა უკეთ იციან რა სახის ინფორმაცია სჭირდება საზოგადოებას (რეპკოვა, 2006).

რაც შეეხება პრესის რევოლუციურ კონცეფციას, მას მედია და ჟურნალისტები ესმის, როგორც საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების აქტიური მონაწილე. პრესის რევოლუციური კონცეფციის მიმდევრების აზრით, ჟურნალისტები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკურ მოვლენებში იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ დემოკრატიული ძალების მოსვლას ხელისუფლებაში. დემოკრატიული სოციალისტური კონცეფცია აღიარებს პლურალიზმის აუცილებლობას, თუმცა ხალხის ინტერესების დაცვის საბაბით, სახელმწიფო ჩარევასაც არ გამორიცხავს.

სრულიად განსხვავებულ ხედვას აყალიბებს პრესის განვითარების კონცეფცია. ეს მოდელი ჟურნალისტებს ხშირად განმანათლებლად აღიქვამს. რეპკოვა წერს, რომ განათლებისა და კულტურის გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მთავარი თანმდევი პროცესია, თუმცა ეს არ არის მედიის მთავარი ამოცანა. დაახლოებით ამავე აზრზეა როდმენიც, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მედიის მხრიდან საზოგადოების გავლენაზე ყურადღების გამახვილება (Rodman, 2001).

მნიშვნელოვანია ჯორჯ როდმენის ნაშრომი, რომელიც თვლის, რომ მსოფლიოს 236 სახელმწიფოდან უმრავლეს ქვეყნებში ან სახელმწიფო ფლობს მედიას, ან უბრალოდ აკონტროლებს მას. როდმენისთვის მესამე ტიპს დამოუკიდებელი, კერძო მედია წარმოადგენს, რომელიც, მისივე თქმით, ხელისუფლების გავლენას არ განიცდის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მედიას რაიმე რეგულაციებს არ უწესებს. (Rodman, 2001).

### 1.1 საქართველოს სატელევიზიო მედია და ხელისუფლების ცვლილება: პრეისტორია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო, რომლის ერთ-ერთი შედეგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ხელისუფლების კონტროლის გაუქმება, მისი დემონოპოლიზაცია და დეცენტრალიზაცია იყო. მედიის სხვა საშუალებებთან ერთად ცვლილება განიცადა ტელევიზიამაც. 1991-2000 წლებში საქართველოში არასტაბილური მდგომარეობა იყო, რაც აისახებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ

შორის მედიაზე. თუმცა 90-იანი წლებიდან სახელმწიფო ტელევიზიის პარალელურად შესაძლებელი გახდა კერძო, დამოუკიდებელი კომერციული ტელემაუწყებლობის ორგანიზაცია (თათარაშვილი, 2003).

1995 წლის 5 ნოემბერს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად ჩატარდა. პარლამენტში ადგილები რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას შორის გადანაწილდა, რომელთა შორის ყველაზე მეტი მანდატი ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა" მოიპოვა. ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატიდან კი ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახდა.

## 2.1 საერთაშორისო ორგანიზაციები 2001-2002 წლების ქართულ ტელემედიაზე

2001 წლიდან საქართველოში შედარებით სტაბილური მდგომარეობაა. ქართული მედიის კვლევას იწყებს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები Freedom House და IREX. ორივე საერთაშორისო ორგანიზაცია წელიწადში ერხელ ანგარიშებს აქვეყნებს, სადაც დეტალურად აღწერს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.ეს ანგარიშები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ორგანიზაციებს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ და მათ მიმართ საერთაშორისო საზოგადოების მაღალი ნდობაა.

2001 წელს საქართველოს მედიაში არსებულ მდგომარეობას Freedom House 2002 წლის მოხსენებაში აღწერს. ამ პერიოდში საქართველოში ორი ნაციონალური ტელევიზია სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა. ეს ტელეარხები ემხრობოდნენ ხელისუფლების პოლიტიკას და ჰყავდათ ბევრად მეტი მაყურებელი, ვიდრე მკითხველი და მსმენელი რადიოებსა და გაზეთებს (Freedom House, 2002). მიუხედავად იმისა, რომ IREX დსთ-ის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართულ მედიას მეტად მრავალფეროვანად და პროფესიონალურად მოიხსენიებს, ანგარიშში საუბრობს მედიის პრობლემებზე, რასაც ორგანიზაცია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და კორუფციას უკავშირებს. დამოუკიდებელი მედიასაშუალებები ხელისუფლების ზეწოლას განიცდიდნენ, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტელეარხებში კი ხშირი იყო თვითცენზურის შემთხვევები.

ამ პერიოდის ხელისუფლება ტელევიზიის დასამორჩილებლად კომპანიებზე პირდაპირ ზეწოლას მიმართავდა, ლიცენზიას ართმევდა და ხურავდა იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც მთავრობისთვის არასასურველად აშუქებდნე მიმდინარე მოვლენებს. მედიის ძირითადად მოიაზრებოდა ბიზნესად და განიხილებოდა, როგორც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის საშუალება. შეიძლება ამითაც აიხსნას ის ფაქტი, რომ ძირითადად პოლიტიკური პარტიები ფლობდნენ მედიასაშუალებებს. პოლიტიკური პარტიები და სახელმწიფო მოხელეები ღიად აკონტროლებდნენ მედიას კომპანიებში წილის ფლობითა და ჟურნალისტების პოლიტიკური ნიშნის მიხედვით დანიშვნით (IREX, 2001).

2002 წელს დამოუკიდებელი მედიის ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის წინააღმდეგ გრძელდება. 2002 წელს ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები სპეციალური პირობებით სარგებლობდენ და ინფორმაციაზე ექსკლუზიური წვდომაც ჰქონდათ (IREX, 2002).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ პერიოდის ქართულ მედიაში გავრცელებული პრაქტიკა იყო თვითცენზურა. როგორც წესი, მედიასაშუალებები ვერ ბედავდნენ თავიანთი მფარველების ოპონირებას (IREX, 2002). ხშირად, მედიასაშუალების რეალური მფლობელი არც საზოგადოებისთვის და არც კომპანიის თანამშრომლებისთვის ცნობილი არ იყო, თუმცა გავლენას ახდენდა კონტენტზე (IREX, 2002).

### 2.2 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ და ტელემედიის როლი

2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები დაანონსდა. საპარლამენტო არჩევნების მოახლოების პარალელურად, ხელისუფლება მედიის მიმართ უფრო რეპრესიული გახდა. გახშირდა ჟურნალისტებზე ძალადობისა და დაშინების ფაქტები, ხელისუფლება ცდილობდა კიდევ უფრო შეეზღუდა მედიის თავისუფლება (IREX, 2003) ამ პერიოდში საქართველოში მოქმედი ყველა ტელემაუწყებელი ხელისუფლების ან ბიზნესის გავლენებს განიცდიდა.

2003 წლის 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნებში ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ გაიმარჯვა. არჩევნების ფართომასშტაბიანი გაყალბების შემდეგ საზოგადოების უკმაყოფილებამ ქუჩაში გადაინაცვლა (კვირის პალიტრა, 2015). მასობრივ საპროტესტო აქციებს ,,ვარდების რევოლუცია“, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადაყენება და 2004 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა. Freedom House-ის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პოპულარული და დამოუკიდებელი ტელევიზია ,,რუსთავი 2“ წლების განმავლობაში უძლებდა მუქარებსა და თავდასხმებს, რადგან ეს ტელევზია ხშირად აშუქებდა სამთავრობო კორუფციასთან დაკავშირებულ სკანდალებს.

,,რუსთავი 2“-ის მხარდაჭერა გადამწყვეტი აღმოჩნდა ვარდების რევოლუციისთვის. მისი დახმარებით გამომჟღავნდა არჩევნების გაყალბებული შედეგები და, რაც მთავარია, საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ხალხისა და ოპოზიციის მობილიზებაში (ჯონსი, 2013).

ოპოზიციონერი ლიდერები აქტიურად იყენებნდნენ ტელევიზიას, როგორც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის იარაღს. პირდაპირ ეთერში გაშუქებული მოვლენები დიდ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ პროცესზე. პრე და პოსტ საარჩევნო პერიოდში თითქმის ყველა მედიასაშუალებამ გამოავლინა პოლიტიკური კავშრები, რაც რევოლუციის შემდეგაც გაგრძელდა (IREX, 2003).

2003 წელს ქართულ პოლიტიკასა და მედიაში მიმდინარე პროცესები შესაძლოა განხილული იყოს პრესის ერთ-ერთი თეორიის, კერძოდ კი, რევოლუციური კონცეფციის მიხედვით. რევოლუციურ კონცეფციას მედია და ჟურნალისტები ესმის, როგორც საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების აქტიური მონაწილე, რომელთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში აუცილებელია იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დემოკრატიული ძალები მოვიდნენ (რეპკოვა, 2006). სწორედ რევოლუციური კონცეფციის მაგალითს წარმოადგენს 2003 წელს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის მაუწყებლობა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა იმ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კი ,,გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ მოიხსენიებოდა. რევოლუციური კონცეფციის

მქონე მედიასაშუალება ხელისუფლების შემდეგაც აგრძელებს რევოლუციურ საქმიანობას, რადგან უბრალოდ არ იცის სხვაგვარად როგორ იმუშაოს. სწორედ ამიტომ, მთავარი გამოწვევა ქართული ტელევიზიებისთვის საზოგადოების იმ ნდობის მოპოვება იყო, რომელიც რევოლუციის დროს დაკარგა. ამის მისაღწევად კი საჭირო იყო მედიასაშუალებების პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირება, რაც ასე არ მოხდა.

### 2.3 ახალი ხელისუფლება და ტელემედია 2004 წელს

2004 წლის 4 იანვარს საქართველოში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 28 მარტს კი ხელახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა (ცესკო, 2010). მმართველი გუნდი ოფიციალურად შეიცვალა. 2004 წელს მედიის დამოუკიდებლობის დამცავი საკანონმდებლო ჩარჩო განმტკიცდა.

მართალია, წინა წლებთან შედარებით გარკვეული გაუმჯობესებები შეინიშნებოდა, თუმცა პოლიტიკური და ეკონომიკური წნეხი კვლავ ზღუდავდა მედიის თავისუფლებას (Freedom House, 2005). 2004 წლის ბოლოსთვის საქართველოში 200-მდე გაზეთი და 7 დამოუკიდებელი სატელევიზიო სადგური არსებობდა (Freedom House, 2005). მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით მედია გარემო უფრო თავისუფალი იყო, ხელისუფლება არაპირდაპირ კონტროლს მაინც ახორციელებდა ბევრ მედიასაშუალებაზე: ჟურნალისტები გამოხატავდნენ კრიტიკულ აზრებს, მაგრამ მედიის მრავალფეროვნება ზოგადი თვალსაზრისით მაინც შეზღუდული იყო. ტელევიზიების ნაწილის მფლობელთა ვინაობა კვლავ გაუმჭირვალედ რჩებოდა, ახალი მფლობელები კი ხელისუფლების მომხრეები იყვნენ.

თუ 2003 წლის ნოემბერში ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის მიერ საპროტესტო აქციების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებამ გადამწყვეტი როლი იქონია რევოლუციაზე, 2004 წელს ახალი ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შეფასებები შესუსტდა. ტელევიზიების მესაკუთრეები ძირითადად ძალაუფლების მქონე პირების მოკავშირეები იყვნენ, რის გამოც მედიის სფეროში მომუშავე პირებს სარედაქციო პოლიტიკის ახალ ხელისუფლებაზე მორგება უწევდათ. (IREX, 2004) თუ წინა პერიოდის მედიისთვის

არასრულყოფილი კანონმდებლობა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა იყო ძირითადი გამოწვევა, 2004 წლიდან ქართულ მედიაში თვითცენზურა დაიწყო.

### 2.4 პოლიტიკური პროცესები და ტელემედია 2005-2006 წლებში

ვარდების რევოლუციიდან ორი წლის თავზე, ახალი ხელისუფლების ცენტრალიზაციამ მედიის თავისუფლების რეგრესი გამოიწვია. მედია ნაკლებად კრიტიკული იყო რევოლუციამდე პერიოდთან შედარებით, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ დაიხვეწა ხელისუფლების მიერ მედიაზე ზეწოლის ხერხები (Freedom House, 2006).

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მედიასაშუალება არ ერიდებოდა ხელისუფლების კრიტიკას, მედიის მეპატრონეები მაინც აგრძელებდნენ ჟურნალისტებზე ზეწოლას. ,,რუსთავი 2“ კიდევ უფრო ლოიალური გახდა ხელისუფლების მიმართ. გახშირდა ჟურნალისტების დევნა და მათ მიმართ ძალადობის ფაქტები (Freedom House, 2007).

### 2.5 2007 წლის ნოემბრის მოვლენები და ტელეკომპანია ,,იმედი“

2007 წელს საკანონმდებლო ბაზის არსებობის მიუხედავად, საქართველოში მედიისა და სიტყვის თავისუფლება ბოლომდე დაცული არ იყო. ხელისუფლებასა და მედიას შორის ურთიერთობა გაუარესდა. თუ ერთი კანონი იცავდა საჯარო ინფორმაციაზე წვდომას, მეორე კანონი მის მიღებას ზღუდავდა. აღსანიშნავია ის, რომ 2007 წელს სასამართლო პროცესებზე აიკრძალა ფოტო-ვიდეო გადაღება. ეს სიახლეკი მიუთითებდა როგორც სასამართლო სისტემის, ისე მედიის თავისუფლების შეზღუდვაზე. 2007 წლის ნოემბერში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დროს, განსაკუთრებით გართულდა ურთიერთობა მედიასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის (Freedom House, 2008). საერთაშორისო ორგანიზაცია 2007 წელს ქართული მედიისთვის ყველაზე უარყოფითად აფასებს და წერს, რომ 7 ნოემბრის მოვლენებმა დიდი დარტყმა მიაყენა დემოკრატიულ პროცესებს, იმ ფონზე, როცა 2006 წელს მცირედი გაუმჯობესება შეინიშნებოდა. 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციები ძალადობაში გადაიზარდა, დღის ბოლოს კი შეიარაღებული პოლიცია უკანონოდ შეიჭრა დამოუკიდებელ და ოპოზიციურად განწყობილ ტელეკომპანია ,,იმედში“. მეორე დღეს პრეზიდენტმა სააკაშვილმა 9 დღიანი

საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და აკრძალა ყველა ადგილობრივი და უცხოური მედია საშულებები საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ ტელეკომპანია ,,იმედის“ ლიცენზია 12 დეკემბრამდე შეზღუდულად დარჩა. ამ პერიოდის განმავლობაში ჟურნალისტები დაშინებებისა და თავდასხმების მსხვერპლნი ხდებოდნენ, მედია გარემო წლის ბოლომდე მკაცრად პოლიტიზირებული დარჩა. ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“ აგრძელებდა პროსახელისუფლებო პოლიტიკის გატარებას, დამოუკიდებელი მედიასაშუალებები კი ოპოზიციურად განწყობილი რჩებოდნენ (Freedom House, 2008). კიდევ ერთხელ დაიხურა ტელეკომპანია ,,იმედი“.

ტელეკომპანია ,,იმედში“ შეჭრას ხელისუფლება დემოკრატიული ღირებულებების დაცვის აუცილებლობით ხსნიდა, რაც დემოკრატიული სოციალისტური კონცეფციის მაგალითს წარმოადგენს. კონცეფცია აღიარებს პლურალიზმის აუცილებლობას, თუმცა ხალხის ინტერესების დაცვის საბაბით, სახელმწიფო ჩარევასაც არ გამორიცხავს (რეპკოვა, 2006). რამდენად რადიკალური ფორმებით შეიძლება განხორციელდეს ეს მცდელობა, თეორია ამას არ განმარტავს, თუმცა 2007 წელს ტელეკომპანია ,,იმედში“ სპეციალური რაზმის შესვლა, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების მიერ ოფიციალურად, დემოკრატიული ღირებულებების დაცვის აუცილებლობით იყო განმარტებული, ამ თეორიის პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს.

### 2.6 პოლიტიკური პროცესები და ტელემედია: 2008-2012 წლები

2008 წლის 5 იანვარს საქართველოში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 21 მაისს კი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ხელისუფლებაში კვლავ ,,ნაციონალური მოძრაობა“ დარჩა.

2008 წელს ოპოზიციისა და საზოგადოების ზეწოლის შემდეგ, ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა საზოგადოებივ მაუწყებელთან დაკავშირებით, რომელიც უფრო დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყო, თუმცა 2008-2009 წლების მედია გარემო მკაცრად პოლიტიზირებული და პოლარიზებული იყო. ტელევიზიები ცალსახად ხელისუფლების ან ცალსახად ოპოზიციის მხარდამჭერები იყვნენ. მთელი საქართველოს

მასშტაბით მაუწყებლობდა ,,რუსთავი 2“ და ,,იმედი“, რომელთაც ხელისუფლება აკონტროლებდა (Freedom House, 2010). საერთაშორისო ორგანიზაციის მედიის მდგრადობის ინდექსი ბოლო წლებში ყველაზე მეტად დაეცა და 2003 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა (IREX, 2009).

სიტუაცია პრაქტიკულად იგივე იყო 2010 წელს, თუმცა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დაძაბულობა, წინა წლებთან შედარებით, შესუსტდა. სახელმწიფოს გავლენა სამაუწყებლო მედიაზე აღარ იყო ისეთი ძლიერი, როგორც წინა წლებში. ადგილობრივი მედია ორგანიზაციები კი მიუთითებდნენ სამაუწყებლო კომპანიების ფინანსური დამოუკიდებლობისა და გამჭირვალობის პრობლემებზე (Freedom House, 2011).

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ყველაზე თავისუფალი და მრავალფეროვანი მედია აქვს რეგიონში, თუმცა სატელევიზიო მედია პოლიტიკურად პოლარიზებულია. ნეიტრალური და ობიექტური ახალი ამბების მიღება თითქმის შეუძლებელია. სახელმწიფო აგრძელებს ორი ყველაზე პოპულარული ტელევიზიის (რუსთავი 2, იმედი) სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას (Freedom House, 2012).

## 2.7. საკანონმდებლო ბაზის ანალიზი

საკანონმდებლო ბაზის ანალიზისას აღსანიშნავია, რომ 2001 წელს ცენზურას კრძალავდა როგორც 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია, ისე იმ დროისთვის მოქმედი საქართველოს კანონი ,,პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. ერთი შეხედვით, 1991 წლის კანონი უზრუნველყოფდა მედია თავისუფლებას, თუმცა კანონი მისაღები არ იყო მედია ორგანიზაციებისთვის, რადგან მათი აზრით, ის პრესის თავისუფლებას ზღუდავდა.

იმ დროისთვის მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პარლამენტმა 2002 წელს ახალი კანონპროექტიც წარადგინა, რომელსაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორი დადებითად შეხვდა. კანონი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, თუმცა წლის

ბოლომდე ძალაში არ შესულა. მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის დიდი ნაწილი კერძო საკუთრება იყო, სახელმწიფო მაინც აგრძელებდა მათ ნაწილზე კონტროლს, კერძო მედია დამოკიდებული იყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე (Freedom House, 2003).

2004 წელს, ხელისუფლების ცვლილების პარალელურად კანონმდებლობაც შეიცვალა. საკონსტიტუციო ცვლილებების გარდა, პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და ,,კანონი მაუწყებლობის შესახებ“. ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონმა ჩაანაცვლა 1991 წლის კანონი ,,პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.“ ეს აქტი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რადგან ხაზს უსვამდა გამოხატვის თავისუფლების გარანტიებს. კანონის მიხედვით მტკიცების ტვირთი ცილისწამების შემთხვევაში უკვე მოსარჩელეზე გადადიოდა. ჟურნალისტთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები გაძლიერდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კოდექსებში შეტანილი ცვლილებებითაც.

2004 წლის ,,კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ თავისუფლების ინსტიტუტისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით შეიქმნა. მათი ძალისხმევით მოხდა შეურაცხყოფის დეკრიმინალიზაცია და გართულდა საქმის აღძვრა ცილისწამებისთვის იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებსაც ინფორმაციის წყაროს დაცვის უფლება აქვთ (ჯონსი, 2013). 2004 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ სამოქალაქო საზოგადოებასა და საკანონმდებლო ხელისუფლების თანამშრომლობის მაგალითი იყო. კანონმა დაარეგულირა საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლების საქმიანობა, სახელმწიფო ტელევიზია კი საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნა.

საერთაშორისო ორგანიზაცია 2004 წელს მიღებულ კანონებს მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს უწოდებდა, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში არ არსებობდა დამოუკიდებელი სასამართლო, შესაბამისად, პრობლემები იყო კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით.

2011 წელს მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილება შევიდა, რომელიც ოფშორულ ზონაში დარეგისტრრებულ კომპანიას ტელევიზიის მფლობელობას უკრძალავდა (კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2011).

## 2.8 ტელემედია თავისუფლება: ადგილობრივი კვლევები

2009 წლის სექტემბერში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების (CRRC) პროგრამით მედიის შესწავლა დაიწყო. კვლევას ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი 2009-2011 წლებში ახორციელებდა.

მედიის ორივე კვლევაში, 2009 და 2011 წლებში, CRRC-მა ერთი და იგივე მეთოდოლოგია გამოიყენა, რათა მონაცემები ერთმანეთთან თავსებადი ყოფილიყო. 2009 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები სრულწლოვან, ქართულენოვან რესპონდენტებთან 1768 პირისპირ ინტერვიუს, 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები კი 2009 პირისპირ ინტერვიუს ეფუძნება. (მსხილაძე, 2012)

სხვადასხვა წლებში ხელისუფლებების ინტერესები სამაუწყებლო მედიასთან მიმართებით რამდენიმე ფაქტორის გამო შეიძლება აიხსნას, თუმცა მათგან უმნიშვნელოვანესია ის, რომ ტელევიზიები მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების და მათზე გავლენის მოხდენის ყველაზე ეფექტურ გზას წარმოადგენდა. 2011 წელს, საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ეროვნული ტელეარხებით ყოველდღიურად მოსახლეობის 82% იღებდა. პროცენტების ნაწილი ინფორმაციის კვირაში რამდენჯერმე, კვირაში ერთხელ და თვეში ერთხელ ან ორჯერ - პასუხებზე ნაწილდებოდა. გამოკითხულთა მხოლოდ 2%-მა თქვა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეარხებით არასდროს იღებდა. (მსხილაძე, 2012) მონაცემები თითქმის იდენტური იყო 2009 წელს ამავე კითხვაზე გაცემულ პასუხებზე.

ამავე კვლევით გამოიკვეთა ის ტელეარხები, რომელთაც მოსახლეობა ყველაზე ხშირად უყურებდა. ინფორმაციის მისაღებად ქართველი მაყურებელი ყველაზე ხშირად ტელეკომპანიებს, ,,რუსთავი 2"-სა და ,,იმედს" უყურებდა. (მსხილაძე, 2012) ეს მონაცემები პრაქტიკულად თანხვედრაშია Freedom House-ის მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც, ,,რუსთავი 2" და ,,იმედი" წლების განმავლობაში ყველაზე პოპულარულ ტელეარხებს წარმოადგენდა. მათი პოპულარობით შეიძლება აიხსნას, რატომ იყო ,,რუსთავი 2"-ის კეთილგანწყობა ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი და რამდენად ,,საჭირო" იყო მათთვის ტელეკომპანია ,,იმედზე" გავლენის მოპოვება.

ის, რომ პრესისა და სიტყვის თავისუფლება საქართველოში წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა ჩანს არა მხოლოდ Freedom House-ისა და IREX-ის მონაცემებში. 2009 და 2011 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ პრობლემებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მოსახლეობას სიტყვის თავისუფლება მიაჩნდა (მსხილაძე, 2012). პრობლემებს შორის გამოიკვეთა პოლარიზაციაც. მოსახლეობა მედიას ხშირად ,,სახელისუფლებო" და ,,ოპოზიციურ" მედიასაშუალებად ყოფდა, რაც მედიაინდუსტრიის ზოგად პოლარიზაციაზე მიუთითებდა. მოსახლეობის აზრით, უფრო მეტი ტელევიზია ემსახურებოდა ,,ხელისუფლების ინტერესებს", ვიდრე პირიქით. (მსხილაძე, 2012) ის, რომ პოლარიზაცია ნამდვილად პრობლემას წარმოადგენდა, კარგად ჩანს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მოხსენებაშიც. ,,საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს" მიხედვით, ტელემაყურებელთა უმრავლესობა ყველა ტელეარხს აღიქვამდა, როგორც მთავრობის ან ოპოზიციის მომხრეს (საერთაშორისო გამჭირვალობა, 2012).

ფრეიმის თეორიის მიხედვით, პოლიტიკურ ელიტებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ ,,ფრეიმები". თუ გადავხედავთ 2004 წლიდან არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით მკვეთრად ეს 2007 წლიდან 2012 წლამდე ჩანს, შევამჩნევთ, რომ სწორედ პოლიტიკური ელიტის მიერ იყო მონოპოლიზებული ქართული მედია სივრცე. ტელემედია გარემო წლების განმავლობაში ქმნიდა ინფორმაციულ დეფიციტს. ცენტრალური ტელეარხები საზოგადოებას აწვდიდა

მხოლოდ და მხოლოდ მთავრობისთვის ხელსაყრელ ინფორმაციას, რის გამოც ამ ტელეარხების საინფორმაციო ბადეები პრაქტიკულად იდენტური იყო.

შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვქონდა Media Framing-თან. Media Framing ეს არის პროცესი, სადაც საკომუნიკაციო წყაროები, როგორიცაა ტელევიზია, ბეჭდური მედია და სხვა, საზღვრავს და ქმნის პოლიტიკურ ამბებს (Clawson, Nelson, & Oxley, 1997). ჩვენს შემთხვევაში კი ჯერ პოლიტიკა ქმნიდა სასურველ ამბებს სატელევიზიო მედიისათვის, მედია კი ამ სასურველი ამბების პირდაპირ ზემოქმედებდა საზოგადოებრივ აზრზე და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ აზრის ფორმირებაში.

**2.9 2012 წლის პოლიტიკური პროცესები და ტელემედია**

აღსანიშნავია მედია გარემო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. ,,საერთაშორისო გამჭირვალობის" ანგარიშის მიხედვით, 2012 წელს საქართველოს ტელემაუწყებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკასთან. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, ტელევიზიის სექტორში მიმდინარე მოვლენები კი საქართველოს მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოს ასახავდა. 2009 წელს ,,საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო" ბევრი ტელეარხის ფარული მფლობელობის შესახებ წერდა. არასამთავრობო ორგანიზაციის 2012 წლის ანალიზში კი ნათქვამია, რომ მედიის რეგულირებაში მომხდარი გაუმჯობესების შემდეგ, 2012 წელს, ის თუ ვინ ფლობდა და აფინანსებდა საქართველოს მაუწყებლებს, აღარ წარმოადგენდა ძირითად საკითხს (საერთაშორისო გამჭირვალობა, 2012).

2012 წელს წინასაარჩევნო პერიოდში ამოქმედდა Must Offer-სა და Must Carry-ის პრინციპები, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ზრდასა და ზოგადად, მედიის სფეროს განვითარებაში (აჩბა, 2014). ეს წესი საკაბელო ოპერატირებს ავალდებულებდა, წინასაარჩევნო პერიოდში გადაეცათ მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებელი არხები.

## 2.9 2012 წლის არჩევნების შემდგომი ცვლილებები

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი არჩევნებია, როდესაც ხელისუფლების გადაბარება არჩევნების გზით მოხდა. არჩევნების შედეგები აღიარეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

მედია გარემო ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიცვალა. მედიაექსპერტი მამუკა ანდღულაძე აღნიშნავს, რომ ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთკავშირი კარგად გამოჩნდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ,,ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთდამოკიდებულება რომ ძალიან ძლიერი იყო, ეს გამოჩნდა 2012 წელს. როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა მაშინვე მოხდა მედიამენეჯმენტში ცვლილებები. იმედი დაუბრუნდა პატარკაციშვილების ოჯახს, რამდენიმე არხი დაიხურა“ (ანდღულაძე, პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში, 2017).

2013 წელს მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიღების პირველწყაროს ისევ ტელევიზია წარმოადგენდა. ,,საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებს დაუბრკოლებლად მიუწვდებოდათ ხელი მედიასაშუალებებზე. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, მსხვილი ტელეარხები მჭიდრო კავშირში იყვნენ პოლიტიკურ პარტიებთან (საუბარია, როგორც ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“, ისე კოალიცია ,,ქართულ ოცნებაზე“). სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესებულია 2013 წელს, რადგან ტელევიზიებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მსგავსი ურთიერთობა აღარ შეინიშნება (საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო, 2013).

Freedom House-ის 2013 წლის ანგარიშში ქართული მედია დახასიათებულია, როგორც ნახევრად თავისუფალი (Freedom House, 2014). ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებულა შესამჩნევი ხელისუფლების გავლენა კერძო მაუწყებელზე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე იყო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში შეიმჩნეოდა

გარკვეული პროგრესი მედიის კონტროლის შესუსტებისა და განსხვავებული შეხედულებების ხელმისაწვდომობის მხრივ.

### 3.1. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს ეთანხმებიან მედიამკვლევარები. ის, რომ მედიას თავისი კლასიკური ფუნქცია, წლების განმავლობაში არაერთხელ დაკარგა, არაერთი კვლევით დასტურდება. ,,რევოლუციის დროს ტელევიზია გვევლინებოდა, როგორც მხარე. ,,რუსთავი 2"-ის როლი გადამწყვეტი იყო ვარდების რევოლუციის დროს. ამ დროს ტელევიზიამ დაივიწყა მედიის კლასიკური ფუნქცია" (ანდღულაძე, პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში, 2017).

თუმცა მედიამკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ მედიაზე მედიაზე გავლენის მოპოვების სურვილი ნებისმიერ ხელისუფლებას ექნება. ,,მედიაზე გავლენის სურვილი ყველა დროის ხელისუფლებას ჰქონდა და ექნება, რადგან მედია არის ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის. ინფორმაციის ფლობა და მისი გავრცელება დღეს ძალაუფლების ტოლფასია. ამიტომ ყველა ცდილობს მედიის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას" (ლომიძე, პოლიტიკური პროცესები და ტელემედიის განვითარება საქართველოში, 2016).

2007 წლის მედიაგარემოს შეფასებისას, მამუკა ანდღულაძე აღნიშნავს, რომ ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა იმ საფრთხეებს, რაც შეიძლებოდა ტელემედიას მოეტანა. ,,ხელისუფლება ხდვდებოდა, რომ მისგან დამოუკიდებელია მედია ხელისუფლების შენარჩუნების მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. როგორც კი ეს დაინახა მაშინვე ტელევიზიაზე მიიტანა იერიში. 2007 წელი იყო ძალიან კრიტიკული, რადგან ამის შემდეგ ხელისუფლებამ უკვე სარეკლამო ბაზრის მონოპოლიზაცია მოახდინა. ამან კი გადაცემების ფორმატის შეიცვალა და სხვა პროცესები გამოიწვია" (ანდღულაძე, პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში, 2017).

ის, რომ სარეკლამო ბაზრის მონოპოლიზაცია პირდაპირ აისახებოდა მედია ორგანიზაციის დამოუკიდებლობაზე, „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს“ არაერთი კვლევა მიუთითებს.

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მომენტალურად იცვლება მედიაგარემოც. ,,ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთდამოკიდებულება რომ ძალიან ძლიერი იყო, ეს გამოჩნდა 2012 წელს. როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა მაშინვე მოხდა მედიამენეჯმენტში ცვლილებები. იმედი დაუბრუნდა პატარკაციშვილების ოჯახს, რამდენიმე არხი დაიხურა“ (ანდღულაძე, პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში, 2017).

დადებითი ტენდენციების მიუხედავად მარინა ლომიძე თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია მედიამ თავისი ფუნქცია დაიბრუნოს. ,,წლების შემდეგ გაჭირდება მედიის საშუალებით აღვადგინოთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების რეალური სურათი. მედიამ დაკარგა მთავარი ფუნქცია - იყოს მაკონტროლებელი და მიუკერძოებელი. მედიისა და პოლიტიკის ურთიერთთანამშრომლობის პროცესში კი სწორედ ესაა მთავარი და განმსაზღვრელი. სანამ მედია არ დაიბრუნებს ამ მთავარ საზრისს, მედიისა და პოლიტიკის კონსტრუქციული ურთიერთთანამშრომლობის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს“ (ლომიძე, პოლიტიკური პროცესები და ტელემედიის განვითარება საქართველოში, 2017).

როგორც მამუკა ანდღულაძე აღნიშნავს, დღეს არსებული ტელემედია გარემო ბევრად პლურალისტურია. ,,პრაქტიკულად აღარ არსებობს ტაბუ თემა. ეს განპირობებულია იმით, რომ არსებობს კრიტიკული მედიაც. კონკრეტული მედიასაშუალება აშუქებს რაღაც თემას და სხვა მედიასაშუალებაც იძულებულია, რომ იგივე საკითხი გააშუქოს.“ (ანდღულაძე, პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში, 2017).

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ბოლო წლებში მედიაში გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება, თუმცა მედიაზე გავლენის მცდელობა განსხვავებული ხერხებით, მაგრამ მაინც გრძელდება. მართალია, საქართველოს

რეგიონში ყველაზე მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა აქვს, თუმცა ქართული მედია მაინც უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. პრობლემატურია კანონების იმპლემენტაციის საკითხი, მოვლენების ზედაპირული გაშუქება, ანალიტიკური მასალების სიმცირე და საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნაკლებობა.

## დასკვნა

ნაშრომის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულმა ტელემედიამ განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა და ამ დროის განმავლობაში ის მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული პოლიტიკურ პროცესებზე, ხშირად კი თავადაც განსაზღვრავდა ამ პროცესებს.

2003 წლამდე ქართული ტელემედია განიცდიდა საბჭოთა კომუნისტრური თეორიის გავლენას. ხელისუფლება სხვადასხვა გზით ცდილობდა მედიასაშუალებებზე გავლენის მოპოვებას, თუმცა ამის მიუხედავად მაინც არსებობდა კრიტიკული აზრი. 2003 წლის ,,ვარდების რევოლუციაში“ გადამწყვეტი აღმოჩნდა კონკრეტული მედიასაშუალების როლი, რაც პრესის რევოლუციური კონცეფციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. რევოლუციის შემდეგ კი მედიასაშუალებას გაუჭირდა პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირება. ამის შემდეგ ახალი ხელისუფლება უკვე აცნობიერებდა ტელემედიის მნიშვნელობას და დაიწყო მისი მართვა, რაც 2007 წელს ტელეკომპანია ,,იმედში“ სპეციალური რაზმის შესვლით დასრულდა. ხელისუფლებამ ტელემედიისა და დაახლოებით იმ ხერხების წინააღმდეგ გამოიყენა ძალა, რომლითაც თავად მოვიდა ხელისუფლებაში.

ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გქვონდა Media Framing-ის განსაკუთრებულ შემთხვევასთან. პოლიტიკური ელიტა განსაზღვრავდა მსხვილი მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკას, ტელევიზია კი ამ ინფორმაციით გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აზრზე. პროსახელისუფლებო მედიასაშუალებების არსებობა და

ხელისუფლების დისკრიმინაციული მიდგომა კი კიდევ უფრო ზღუდავდა, როგორც ამ კონკრეტული მედიასაშუალების, ისე სხვა ტელევიზიების თავისუფლებას.

კვლევებით დასტურდება, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განხორციელებულმა ცვლილებებმა პოზიტიური გავლენა იქონია ტელემედიის თავისუფლებაზე, გამჭირვალეა ტელეკომპანიების მესაკუთრეთა სია, ტელემედია გარემო კი ბევრად პლურალისტურია.

საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების ანგარიშებმა აჩვენა, რომ ხელისუფლებისა და ტელემედიის ურთიერთობის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო. როგორც აღმოჩნდა, პროსახელისუფლებო მედიასაშუალებების არსებობა სხვა მედიასაშუალებებს კიდევ უფრო უზღუდავდა ინფორმაციაზე წვდომასა და მაუწყებლობის თავისუფლებას.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაშრომის დასაწყისში გამოთქმული ჰიპოთეზა დადასტურდა. რაც უფრო მჭიდროა საქართველოში კავშირი ხელისუფლებასა და კონკრეტულ სამაუწყებლო მედიასაშუალებას შორის, მით უფრო იზღუდება ტელემედია თავისუფლება. გარდა ამისა, ნაშრომის მიხედვით დასტურდება, რომ საქართველოში არამხოლოდ პოლიტიკური პროცესი ზემოქმედებს სატელევიზიო მედიაზე, არამედ სატელევიზიო მედიაც განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებს.

# ბიბლიოგრაფია


ანდღულაძე, მ. (2016 წლის 15 ივნისი). პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში. (თ. ჩხაიძე, ინტერვიუერი)

აჩბა, ს. (2014). *ქართული მედია გარდამავალ პერიოდში (2012-2014).* თბილისი: ადამიანის უფლებათა ცენტრი.

თათარაშვილი, ნ. (2003). *ტელეჟურნალისტიკის საკითხები: სტატიების კრებული.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კანონი მაუწყებლობის შესახებ. (2011 წლის 8-19 აპრილი). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* ნანახია 2016 წლის 20 ივნისს. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=22

კვირის პალიტრა. (2015). როგორი იყო 2003 წლის 2 ნოემბერი საქართველოში. *ჩვენი ეპოქა 20 წელი, ტომი II: საქართველო 2000-2003* , გვ. 108.

ლომიძე, მ. (2016 წლის 10 ივნისი). პოლიტიკური პროცესები და ტელემედიის განვითარება საქართველოში. (თ. ჩხაიძე, ინტერვიუერი)

მსხილაძე, ქ. (2012). *საქართველოს მედია: მოსახლეობის შეფასებები და განვითარების პერსპექტივები.* თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

ნაჩმიასი, ჩ., & ნაჩმიასი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რეპკოვა, ტ. (2006). *ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში.* თბილისი: დიოგენე.

რუე, ჟ., & ვეკუა, მ. (2013). *ჟურნალისტიკა.* თბილისი: მერიდიანი.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2016 წლის 5 თებერვალი). ,,მაესტროს" ახალი რეალობა-ტელეკომპანიის მფლობელების და მმართველების ცვლილების ქრონიკა . თბილისი, საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2013). *მედია გარემო 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2009). *სატელევიზიო სივრცე საქართველოში მფლობელები, მაკონტროლებლები და საკანონმდებლო ორგანო.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2012). *საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო.

სალდაძე, მ. (2009). *მედია სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

ცესკო. (2010). *საქართველო- არჩევნების ისტორია 1990-2010.* თბილისი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (გვ. 172-177). თბილისი: CSS-სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

Bennett, T. (1982). *Culture, Society and the Media.* London: Routledge.

Clawson, R. A., Nelson, T. E., & Oxley, Z. M. (1997). *Media framing of civil liberties conflict and its effect on tolerance.* America: American Political Science Associaction.

Freedom House. (2002). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2015 წლის 22 January, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2002/georgia-დან

Freedom House. (2003). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2015 წლის 22 January, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2003/georgia-დან

Freedom House. (2004). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2015 წლის 25 January, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2004/georgia-დან

Freedom House. (2005). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 25 January, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2005/georgia-დან

Freedom House. (2006). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 20 June, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2006/georgia-დან

Freedom House. (2007). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 20 June, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2007/georgia-დან

Freedom House. (2008). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 20 June, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2008/georgia-დან

Freedom House. (2009). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 20 June, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2009/georgia-დან

Freedom House. (2010). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 21 June, Freedom House Web-site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2010/georgia-დან

Freedom House. (2011). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 23 June, Freedom House Web site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2011/georgia-დან

Freedom House. (2012). *Freedom House*. მოპოვებული 2016 წლის 24 June, Freedom House Web site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2012/georgia-დან

Freedom House. (2013). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press.* მოპოვებული 2016 წლის 24 June, Freedom House Web site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2013/georgia-დან

*Freedom House*. (2014). მოპოვებული Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2014/georgia-დან

Freedom House. (2014). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press*. მოპოვებული 2016 წლის 24 June, Freedom House Web Site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2014/georgia-დან

Freedom House. (2014). *Freedom House: Georgia - Freedom of the Press.* მოპოვებული 2016 წლის 24 June, Freedom House Web site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2014/georgia-დან

*Freedom House*. (2015 წლის April). მოპოვებული Freedom House Web site: https://freedomhouse.org/report/freedom-press/2015/georgia-დან

IREX. (2001). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research & Exchanges.

IREX. (2002). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research & Exchanges.

IREX. (2003). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research and Exchanges.

IREX. (2004). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research and Exchanges.

IREX. (2005). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research and Exchanges.

IREX. (2007). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research and Exchanges.

IREX. (2009). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research and Exchanges.

IREX. (2011). *Media Sustainability Index.* Washington DC: International Research and Exchanges.

IREX. (2016). *Media Sustainability Index: Georgia.* Washington DC: International Research and Exchanges.

Rodman, G. (2001). *Making Sense of media.* New York: Brooklyn College of the City University of New York.

Rosalee, A., Nelson, T., & Oxley, Z. (1997). *Media framing of civil liberties conflict and its effect on tolerance.* America: American Political Science Association.

Whitten-Woodring, J. (2009). *Jstor.* მოპოვებული 2016 წლის 25 January, Jstor Web site: http://www.org/stable/27735113-დან

ანდღულაძე, მ. (2017 წლის 15 ივნისი). პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში. (თ. ჩხაიძე, ინტერვიუერი)

ანდღულაძე, მ. (2017 წლის 15 ივნისი). პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში. (თ. ჩხაიძე, ინტერვიუერი)

ანდღულაძე, მ. (2017 წლის 15 ივნისი). პოლიტიკური პროცესები და ტელემედია საქართველოში. (თ. ჩხაიძე, ინტერვიუერი)

აჩბა, ს. (2014). *ქართული მედია გარდამავალ პერიოდში (2012-2014).* თბილისი: ადამიანის უფლებათა ცენტრი.

თათარაშვილი, ნ. (2003). *ტელეჟურნალისტიკის საკითხები: სტატიების კრებული.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კანონი მაუწყებლობის შესახებ. (2011 წლის 8-19 აპრილი). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული 2016 წლის 20 ივნისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=22-დან

კვირის პალიტრა. (2015). როგორი იყო 2003 წლის 2 ნოემბერი საქართველოში. *ჩვენი ეპოქა 20 წელი, ტომი II: საქართველო 2000-2003*, გვ. 108.

ლომიძე, მ. (2016 წლის 10 ივნისი). პოლიტიკური პროცესები და ტელემედიის განვითარება საქართველოში. (თ. ჩხაიძე, ინტერვიუერი)

ლომიძე, მ. (2017). პოლიტიკური პროცესები და ტელემედიის განვითარება საქართველოში. (თ. ჩხაიძე, ინტერვიუერი)

მსხილაძე, ქ. (2012). *საქართველოს მედია: მოსახლეობის შეფასებები და განვითარების პერსპექტივები.* თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

ნაჩმიასი, ჩ., & ნაჩმიასი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რეპკოვა. (2006). *ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში.* თბილისი: დიოგენე.

რეპკოვა, ტ. (2006). *ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში.* თბილისი: დიოგენე.

რუე, ჟ., & ვეკუა, მ. (2013). *ჟურნალისტიკა.* თბილისი: მერიდიანი.

საერთაშორისო გამჭირვალობა, ს. (2012). *საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა, ს. (2013). *მედია გარემო 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2009). *სატელევიზიო სივრცე საქართველოში მფლობელები, მაკონტროლებლები და საკანონმდებლო ორგანო.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2012). *საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2013). *მედია გარემო 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2013). *მედია გარემო 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.* თბილისი: საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო.

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო. (2016 წლის 5 თებერვალი). ,,მაესტროს" ახალი რეალობა-ტელეკომპანიის მფლობელების და მმართველების ცვლილების ქრონიკა . თბილისი, საქართველო.

სალდაძე, მ. (2009). *მედია სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

სალდაძე, მ. (2009 წლის მარტი). *მედია სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. მოპოვებული 2016 წლის 25 ივნისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: http://www.nplg.gov.ge-დან

სალდაძე, მ. (2009). *მედია სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

ცესკო. (2010). *საქართველო- არჩევნების ისტორია 1990-2010.* თბილისი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ჯონსი, ს. (2013). მედია. ს. ჯონსი-ში, *საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (გვ. 172-177). თბილისი: CSS-სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.